CASE CAUCASUS ACADEMY OF SECURITY EXPERTS

CASE BRIEF REPORT #1
თებერვლის გამოცემა

ანგარიშში იხილავთ:
ირანისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება
რატომ გახდა საფრანგეთი ისლამური სახელმწიფოს სამიზნე

გიორგი რობაქიძე
თათია მოსიძე

ირანისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება

ბირთვული შეთანხმების შემდეგ

ირანისა და რუსეთის თანამშრომლობის გაღრმავება სამხედრო მიმართულებით რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილებებს გამოიწვევს. მას შემდეგ რაც 5+1 ფორმატში ვენის მოლაპარაკებები ირანსა და დასავლეთს შორის ბირთვული შეთანხმების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასრულდა, იყო მოლოდინები, რომ რუსეთისა და ირანის თანამშრომლობა შემცირდებოდა, რადგან აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა დასავლეთსა და ირანს შორის ურთიერთობების დათბობას ნიშნავს.

თუმცა განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ნათელი გახდა, რომ თეირანი და მოსკოვი სამხედრო მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავებას გეგმავდნენ. პირველი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, როდესაც 2015 წლის 19 ოქტომბერს რუსეთის მიერ ასტრახანის ოლქში ჩატარებულ 12 დღიან სამხედრო წვრთნებში ირანის სამმა სამხედრო გემმა (Joshan, Peykan and Damavand) მიიღო მონაწილეობა. მეორე, მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც კიდევ უფრო ხაზს უსვამს ქვეყნებს შორის სამხედრო ურთიერთობის გაღრმავებას არის რუსეთისგან ირანის მიერ S-300-ის სისტემის შეძენა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის გაუმჯობესებული S-300-ი საჰაერო თავდაცვის სისტემით უზრუნველყოფა თავდაპირველად 2007 წელს უნდა დაწყებულიყო, თუმცა არაერთხელ გადაიდო დასავლეთის ზეწოლის გამო, რაც დაკავშირებული იყო გაეროს მხრიდან ირანისთვის ბირთვული სანქციების დაწესებასთან. გარდა ამისა რუსეთსა და ირანს შორის სამხედრო სფეროში კიდევ ერთი ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვითაც რუსეთი ირანს ურანის გამდიდრებისათვის საჭირო აღჭურვილობით მოამარაგებს, გარდა ამისა გადასცემს საჭირო ტექნოლოგიებს და სხვა დამატებით მასალებს. ასევე განახორციელებენ რამდენიმე ერთობლივ ბირთვულ პროექტს. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი ვლადიმერ პუტინმა 2015 წლის 23 ნოემბერს მოაწერა. ირანმა უკვე მიიღო რუსეთის ფედერაციისაგან S-300-ს საჰაერო თავდაცვითი სარაკეტო სისტემა, მაშინ როცა რუსეთმა სირიაში ლატაკიასთან ახლოს (თურქეთიდან 50 კმ-ში) S-400, უფრო გაუმჯობესებული ვარიანტი განალაგა. S-400-ის ლატაკიაში განთავსების მეშვეობით რუსეთს შეუძლია გააკონტროლოს, არამარტო სირიის საჰაერო სივრცე, არამედ ნახევარი თურქეთის, იორდანიის, კვიპროსისა და ისრაელის საჰაერო სივრცის ნაწილიც. ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაძლიერება სამხედრო თვალსაზრისით, გავლენას მოახდენს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე, რადგან ორივე ქვეყანა ჩართულია სირიისა და იემენის კონფლიქტში.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მიუთითებს ირან-რუსეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაზრდაზე, არის ირანის მიერ უფრო მეტი დაფინანსების გამოყოფა შეიარაღებაზე. კერძოდ 2016 წლის ბიუჯეტში შეიარაღებაზე განსაზღვრულია 17 მილიარდი დოლარი, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში სხვა ქვეყნები ბევრად მეტს ხარჯავენ იგივე მიმართულებით (თუნდაც საუდის არაბეთი) ამ ფაქტის უგულებელყოფა რთულია.

რა ურთიერთ სარგებელს მოუტანს თეირანსა და მოსკოვს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება? რუსეთის თანამშრომლობა ირანთან არის სტრატეგიული და ნაკარნახევია შემდეგი ინტერესებით:

1) დასავლეთის გავლენის შესუსტება, განსაკუთრებით აშშ-სა და NATO-ში;

2) შეუწყოს ხელი ქვეყნების ინტეგრაციას მის მიერ ფორმირებულ ალიანსში, კერძოდ ევრაზიულ კავშირში;

3) კასპიის რეგიონში გააძლიეროს თავისი სავაჭრო პოზიციები. 2013 წლის მონაცემებით რუსეთის მოგებამ ირანთან, აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან და თურქმენეთთან 33 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა.

თავის მხრივ ირანი ყველანაირად ცდილობს რეგიონში ლიდერის პოზიცია ჰქონდეს. ამ გვარი ინტერესებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რუსეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა მათთვის ხელსაყრელი შეიძლება იყოს. მეორეს მხრივ, 2016 წლის 17 იანვარს ირანს ფინანსური სანქციები მოეხსნა, მას შემდეგ რაც საერთაშორისო ინსპექტორებმა დადებითად შეაფასეს ირანის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული განცხადება გაკეთდა ერთი დღის შემდეგ, როდესაც ირანმა ამერიკელი პატიმრები გაათავისუფლა. ირანმა სანქციების მოხსნის შემდეგ სრულყოფილად აღადგინა კავშირი მსოფლიო საფინანსო სისტემასთან, აქტიურად გეგმავს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვას, უკვე 300,000 ბარელი ნავთობი გააქვს ექსპორტზე, რამაც განაპირობა ბოლო პერიოდში ნავთობზე ფასების მკვეთრი ვარდნა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ირანს წვდომა აქვს გაყინულ 100 მილიარდ დოლარზე, თუმცა აქედან მხოლოდ 30-50 მილიარდი დოლარის დახარჯვა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ირანის წინააღმდეგ მოქმედი სანქციები ტერორიზმის დაფინანსებასთან და სხვა აქტივობებთან დაკავშირებით კვლავ ძალაში რჩება.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ირანი მოხსნილი სანქციების შედეგად მიღებულ ფულს სწორედ სამხედრო სფეროს განვითარებას მოახმარს. სამხედრო აღჭურვილობის დიდი ნაწილის შეძენას კი ირანის ისლამური რესპუბლიკა სწორედ რუსეთის ფედერაციისგან ახორციელებს. გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო რეგიონული ინტერესი და გეოპოლიტიკა ორი სახელმწოფოს სტრატეგიულ სიახლოვეს განაპირობებს.

ბიუჯეტი შეიარაღებაზე

ქვეყანა	2013	2014	2015	2016
რუსეთი	68 მლრ.	78 მლრ.	57 მლრ.	98 მლრ.
ირანი	უცნობია	უცნობია	10.2 მლრ.	17 მლრ.
	68	**78**	**67.2**	**110**

ზემოთ აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ირანისა და რუსეთის თანამშრომლობის გაღრმავება სამხედრო სფეროში რეგიონში მიმდინარე ბრძოლას ლიდერობისათვის კიდევ უფრო გაამწვავებს და ასევე გამოიწვევს ძალთა ბალანსის ცვლილებას. მნიშვნელოვანია, ის გარემოებაც, რომ 2016 წლის 20 იანვარს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს ახალი სანქცია დაუწესა, კერძოდ: ირანის ბალისტიკური რაკეტების პროგრამაზე.

თათია მოსიძე

რატომ პარიზი

რატომ გახდა საფრანგეთი ისლამური სახელმწიფოს სამიზნე

2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში განხორციელებულმა ტერაქტებმა ბევრი კითხვა გააჩინა, მათ შორის, თუ რატომ შეირჩა სამიზნედ საფრანგეთი?

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს საფრანგეთი რამდენიმეჯერ გახდა ტერორისტების სამიზნე. განვითარებული მოვლენებიდან შეიძება გამოიყოს 4 შემთხვევა. 2015 წლის იანვარში მოხდა თავდასხმა ჟურნალ „CharlieHebdo-ს" გამომცემლობაზე და თავდასხმა ებრაულ სუპერმარკეტზე. გარდა ამისა, 13 ნოემბრის ტერაქტებამდე რამდენიმე დღით ადრე 25 წლის ახალგაზრდა გეგმავდა თავდასხმას საფრანგეთის საზღვაო ძალების ბაზაზე ქალაქ ტულონში. სამართალდამცავებმა შეძლეს ამ ტერაქტის აღკვეთა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში არსებობდა კავშირი „ისლამურ სახელმწიფოსთან".

„ისლამური სახელმწიფოს" მიერ საფრანგეთის სამიზნედ არჩევა განაპირობა საფრანგეთის აქტიურმა ჩართულობამ სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ მიმდინარე საჰაერო სამხედრო ოპერაციებში. 2015 წლის 13 ნოემბრის ტერაქტებამდე არსებული მონაცემების თანახმად საფრანგეთის სამხედრო ავიაციამ განახორციელა 271 საჰაერო იერიში ტერორისტების 450 სამიზნის წინააღმდეგ, მათ შორის საწვრთნელი ბანაკების და „ისლამური სახელმწიფოს" მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული ნავთობის და გაზის მომპოვებელი ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ. ამ იერიშების მიზანი იყო „ისლამური სახელმწიფოს" საწვრთნელი ინფრასტუქტურის განადგურება და დაფინანსების შესუსტება. აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტიც, რომ 13 ნოემბრის

ტერაქტებამდე რამდენიმე დღით ადრე საფრანგეთმა გაგზავნა თავისი ერთადერთი ავიამზიდი „შარლ დე გოლი“ სპარსეთის ყურეში, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო ოპერაციების გაძლიერების მიზნით.

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების გარდა საფრანგეთის სამიზნედ არჩევა განაპირობა სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანმა ფაქტორებმაც, კერძოდ, სირიიდან საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში მიგრანტების ჩასვლამ. მიგრანტების ნაკადთან ერთად ევროპაში ჩავიდნენ ის ადამიანებიც ვინც მონაწილეობა მიიღეს 13 ნოემბრის ტერაქტებში. მათ შეძლეს გაყალბებული საბუთების გამოყენებით, ვითომდა მიგრანტების სახით ევროპის კონტინენტზე შეღწევა. არ არის გამორიცხული, რომ გარდა პარიზის ტერაქტებში მონაწილე ადამიანებისა სხვა ჯიჰადისტებმაც შეძლეს იგივე გზით ევროპაში შეღწევა. შესაძლებელია, რომ სწორედ ეს ადამიანები ადგილობრივ რადიკალურად განწყობილი ადამიანების მცირე დაჯგუფებებთან ერთად ამზადებდნენ ახალ ტერაქტებს ევროპის ტერიტორიაზე. მოგეხსენებათ, რომ ბოლო დროს ევროპაში ტერორისტული საფრთხის დონე გაზრდილია. გასულ წელს „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ ევროპაში მათი მომხრეების და მებრძოლების რაოდენობა ათასებს ითვლის. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ევროპაში, მათ შორის საფრანგეთშიც დაბრუნდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საბრძოლველად წასული ე.წ. „უცხოელ მებრძოლებად“ წოდებული ადამიანებიც (მხოლოდ საფრანგეთიდან სირიაში და ერაყში საბრძოლველად დაახლოებით 2500 ადამიანი წავიდა). ბრიუს ჰოფმანის, ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარის მოსაზრების თანახმად ეს ადამიანები „უკან ბრუნდებიან გამოცდილი ვეტერანების სახით, რომლებსაც შეუძლიათ დაჯგუფებებში მუშაობა, კარგად ასრულებენ ბრძანებებს და არიან ფანატიკოსები.“

როგორც გამოძიებისათვის გახდა ცნობილი, აბდელჰამიდ აბაოუდი, პარიზის ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი, სწორედ სირიაში იბრძოდა და იყო ერთ-ერთი „უცხოელი მებრძოლი“ „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში. შეგახსენებთ , რომ პირველად აბაოუდიმ საფრანგეთის სპეცსამსახურების ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც ის “ისლამური სახელმწიფოს” მიერ გავრცელებულ ვიდეოებში გამოჩნდა. გარდა აბდელჰამიდ აბაოუდისა გამოძიების თანახმად სირიაში იმყოფებოდნენ 13 ნოემბრის ტერაქტების სხვა მონაწილეებიც, კერძოდ: სალაჰ აბდესლამი, ბილალ ჰადიფი, ომარ ისმაილ მუსტეფაი, სამი ამიმოური, ფოუდ მოჰამედ-აგადი და იბრაჰიმ აბდესალემი.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულობის გამო გახდა ჯიჰადისტების სამიზნე, ხოლო ევროპიდან წასული სამშობლოში დაბრუნებული ე.წ. „უცხოელი მებრძოლები“, მიგრანტებთან ერთად შემოპარული სხვა ჯიჰადისტები და საფრანგეთში მცხოვრები რადიკალური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქეები, იქცნენ ამ ტერაქტების განხორციელების იარაღად.

ბოლოს მინდა ავღნიშნო, რომ ახალგაზრდების რადიკალიზაციას ისეთ დონემდე, რომ ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ისეთ ტერაქტებში, როგორიც განხორციელდა საფრანგეთში, ხელს უწყობს „ჯიჰადისტების“ მიერ ინტერნეტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების კარგად ათვისება. ინტერნეტში მარტივად მოიძებნება საიდ ქუთბის, აბდულა აზზამის, ოსამა ბინ ლადენის, აბუ ბაკრ ალ ბაჰდადის და სხვა ისლამის და ჯიჰადის არასწორი, რადიკალური ე.წ. "cut and paste" ვერსიის მქადაგებლების ნაშრომები, როგორც არაბულ, ასევე ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე. როგორც ტექსტური, ასევე აუდიო და ვიდეო ვერსიები. ინტერნეტი, ასევე იძლება საშუალებას რადიკალური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქცეულმა ადამიანმა მარტივად, მხოლოდ „მაუსის“ ღილაკის რამდენიმე დაჭერის მეშვეობით მოიძიოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ, როგორ უნდა დაამზადოს ასაფეთქებელი მოწყობილობა, როგორ უნდა შეარჩიოს შესაბამისი სამიზნე და როგორ უნდა განახორციელოს ტერაქტი ისე, რომ მსხვერპლის რაოდენობა იყოს მაქსიმალური.

ამ საფრთხეებს ასევე ემატება ადრე „ალ ქაედა“ ახლა კი ჯიჰადისტების ახალი „ლიდერი ორგანიზაციის“ (ჩემი აზრით „დროებით ლიდერი“, ვინაიდან პარიზის ტერაქტების შემდეგ, საერთაშორისო კოალიციის მიერ მასთან ახალი და უკომპრომისო ბრძოლის დაწყების შემდეგ, მისი სიძლიერე შესუსტდება და წინა პლანზე კვლავ „ალ ქაედა“ წამოიწევა, რომელიც „ჯიჰადის“ პრაქტიკაში განხორციელების გაცილებით უფრო დიდი გამოცდილება გააჩნია) „ისლამური სახელმწიფოს“ ვეტერანი მებრძოლების დაბრუნება მშობლიურ ქვეყნებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, ისეთ ადამიანს, როგორიც იყო აბდელჰამიდ აბაოუდი (პარიზის ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი) შეუძლია სათავეში ჩაუდგეს, გაუზიაროს ასაფეთქებელი მოწყობილობების აწყობის პრაქტიკული ცოდნა და უზრუნველყოს სხვა დამატებითი საშუალებებით ინტერნეტის მეშვეობით თვით ნასწავლ რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდების ჯგუფს. სწორედ ასეთი დაჯგუფებების მიერ განხორციელდა მადრიდში 2004 წლის, ლონდონში 2005 წლის და პარიზში 2015 წლის 13 ნოემბერს მომხდარი ტერაქტები. სამწუხაროდ, ასეთ ჯგუფებს შეუძლიათ მომავალში კიდევ განახორციელონ ტერაქტები მილანში, რომში, ბრიუსელში, ამსტერდამში, ნიუ-იორკში, სიდნეიში ან მსოფლიოს ნებისმიერ სხვა დიდ ქალაქში.

ასეთ ადამიანებთან ბრძოლა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სამხედრო ოპერაციების შედეგად „ალ ქაედას“ ან „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება, ვინაიდან ისინი რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომლის თანახმადაც „ნამდვილი ისლამის“ გადარჩენისათვის სირიაში, ერაყში ან ავღანეთში აშშ-ს და დასავლეთის ქვეყნების ჯარებთან ბრძოლაზე არანაკლებ საქირო და მნიშვნელოვანია 2001 წლის 11 სექტემბრის და ასევე ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსი ტერაქტების განხორციელება. ამ იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების გაუვნებელყოფა, შესაძლებელია, მხოლოდ კონტრ იდეოლოგიის დაპირისპირებით, რომელიც შეძლებს დაანახოს მათ, რომ ქუთბის, ზავაჰირის, ბინ ლადენის აბუ ბაკარის და სხვა მათი თანამოაზრეების სწავლება ისლამის შესახებ არის აბსოლუტურად არასწორი და მათთვის, მათი ახლობლებისათვის და მთელი მსოფლიოსათვის მხოლოდ კატასტროფული შედეგების და განადგურების მომტანია.

გიორგი რობაქიძე

გამოყენებული წყაროები:

http://inhomelandsecurity.com/international-sanctions-iran-lifted/
http://www.cfr.org/iran/issue-guide-iran-nuclear-deals-implementation-day/p37449
http://www.ibtimes.com/iran-russia-relations-2015-iranian-ships-dock-russian-port-ties-between-tehran-moscow-2146418
http://www.bbc.com/news/world-middle-east-35340663
http://www.bbc.com/news/world-middle-east-35342439
http://www.al-monitor.com/pulse/originals/2014/02/iran-russia-relations-new-chapter.html
http://en.mehrnews.com/news/112216/Putin-signs-decree-on-Iran-Russia-nuclear-coop
http://en.mehrnews.com/news/108305/Leader-issues-6th-Development-Plan-general-policies
http://www.heritage.org/research/reports/2015/12/a-secure-and-stable-caspian-sea-is-in-americas-interest
http://www.theguardian.com/world/2015/nov/14/france-active-policy-syria-assad-isis-paris-attacks-air-strikes (FrancemoreactivethanrestofthewestintacklingSyria)
http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/france/11995246/Paris-shooting-What-we-know-so-far.html (Paristerrorattack: EverythingweknowsofaronSundaymorning)
https://www.washingtonpost.com/news/checkpoint/wp/2015/11/14/the-paris-attacks-combined-more-than-a-decade-of-terrorist-tactics-into-one-night/?tid=sm_fb(How the Paris attacks combined more than a decade of terrorist tactics into one night)
http://www.nytimes.com/interactive/2015/11/15/world/europe/manhunt-for-paris-attackers.html

აკადემიის შესახებ

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!
უსაფრთხოების როგორც პროფესიის განვითარებისთვის!

სამხედროების, სამართალდამცავების, დიპლომატების, მსხვილი კორპორაციებისა და სტუდენტების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილების უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) თავისი სპეციფიკით ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა სრულიად კავკასიის მასშტაბით. CASE-ის სტუდენტები არიან IT სპეციალისტები, სამხედროები, იურისტები, დიპლომატები, ჟურნალისტები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის ადამიანები.

ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ბიზნესისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების სხვადასხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები, ანალიტიკოსები, ინსტრუქტორები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვაჩნია ძლიერი გუნდი, ექსპერტიზა, გამოცდილება და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავნერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც კავკასიის მასშტაბით სხვაგან არსად არის ხელმისაწვდომი, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა ყოველდღიურ ანალიტიკურ საქმიანობას და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამაღლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიციურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია.

სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.globalcase.org